№ 76. 13 აპრილი, ოთხშაბათი. 1866—1883 13 აპრილი, ოთხშაბათი. № 76.

რედაქცია

გოლოვინის პრასპექტზე ო-ვ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

თვე 1 წლით . . . 9 მან. | ნახევარ წლით . . 3 მან.
ქვითრით . . . . 5 მან. | ერთი თვით . . . 1 მან.

დროება

გამოდის უოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკა, ახალმოკრძალებით ასოზე ნახევარი კაპეიკა. წერილებით განცხადებათა სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ განცხადება მათითხოვს, რედაქცია გაუწევს ადრესს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდველ წერილს რედაქცია უთხოვს ფოსტით ვეღარ დაუბრუნებს ასტრონ.

განცხადება მიიღება ქალაქში, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროების“ ღირს ექვსი შაური.

პირველის აპრილიდამ ამ 1883 წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს გაგზავნით 7 (შვიდი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გლაზოვინის პრასპექტზე, თ. ივ. ბ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში—ლეგ. შჩედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

ტელეგრამმა

(„ვრაჩებნოი ტელეგრაფის საგანგებო“)

სამშვიდარ გარეთიდამ

11 აპრილს

ლონდონი. შაბათს სალამოს ენფილდის სახაზინო თოფების ქარხნის მახლობლად მოახდინეს აფეთქება; ზიანი მცირეა.

მარსელი. კვირა სალამოს აეფეთქა სენტ - შანარასში თოფის - წამლის საწყობი, სადაც 300 კილოგრამი წამალი ეწყო. ამ აფეთქებისაგან დაიწვა შვიდი სახლი მეზობლად. ძლივს გადაარჩინეს მეორე საწყობი აფეთქებისაგან, თორემ ესეც რომ აფეთქილიყო მთელს ქალაქს გაანადგურებდა.

ბერლინი. ტახტის მემკვიდრე მეუღლით გაემგზავრენ გენუაში.

ღიმური

(ბუშინდელ რუსულ გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ კავკასიის აქეთა და იქითა მხრის მმართველს საბოლოოდ გადაწყვეტილია და, სხვათა შორის, დაუდგენიათ:

ა) პირველის იელისიდამ 1883 წლისა შეივიდეს ძალაში მმართველა ახალის უწყებათაგან კავკასიის მხრისა;

ბ) მოუსპოს თანამდებობა კავკასიის ნამესტნიკისა, ამის თანაშემწისა, აგრეთვე უმთავრესი სამართველო კავკასიისა, რჩება და დეპარტამენტი ამისი, კანცელიარია ამა სამართველოს უფროსისა, სახელმწიფო ქონებათა სამართველო, სამართველო ტყეთა, მეურნეობისა და წარმოებითა, გზის-მშენებელი კომიტეტი ტეხნიკურის კანცელიარიით მასთან, განსაკუთრებითი შეკრებულება (присутствіе) სამიწა-წყლო გადასახადთა შესახებ, კანცელიარია გლეხთა საქმეების განმწყობი და სამართველო კავკასიის საცხენო-ქარხნის ოლქისა; ამათთან ერთად მოისპობის მომრიგებელ შუამავალთა კანდიდატების თანამდებობა ადგილის საგლეხო და სასოფლო საქმეთა უწყებებში;

გ) საქმენი მოხსენებულ უწყებათა გადაეცემის სამინისტროს, უმთავრეს სამართველოს და მთავარ-მართველის კანცელიარიასა;

დ) დეპუტატთა კრებებში და განსაკუთრებულს დროებითს კამისიებში წარმოებულნი საქმენი, კავკასიაში უმაღლეს წოდებათა უფლებისგან სარჩევად, გადაეცეს სენატის ჰეროლდიის დეპარტამენტს, სადაც დეპუტატთა კრებათაგან პირ-და-პირ მიიღებიან საქმეები, და კამისიებმა-კი ჯერ მთავარ-მართველს უნდა წარუდგინონ, რომელიც თვისის დასკვნით რიგისებრ გადასცემს საქმეებს.

ე) 1884 წლიდამ მოისპის კავკასიის აქეთა მხრის სამოქალაქო მართველობისა შემოსავალ-გასავლის სმეტის ცალკედ შედგენა და როგორც შემოსავალი ამ მხრიდამ ისე ხარჯი მაზედ გადაეცეს ქვემდებარე სამინისტროთ და უმთავრესს მართველობათ სფრანსო სმეტაში შესატანათ.

ვ) სახელმწიფო ქონებათა მართველობისა და სამთო-ნაწილის გადაცემის შემდეგ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მხედველობის ქვეშე, მოისპოს წესები კავკასიის აქეთა მხრის სახაზინო მიწების თავისუფლად გაცემისა უმიწა-წყლო აზნაურებზე და, საზოგადოდ, მხრის უმაღლეს წოდების პირებზე —აღკრძალულ არს აგრეთვე შავი ზღვის პირად მდებარე თავისუფალ სახაზინო მიწებს კერძო საკუთრებად გადაცემა.

***

რუსული გაზეთებიდგე გვატყობინებენ—წინადადება არისო, რომ კავკასიის მადნის წყალთა ადგილები ერთი მეორეს შეუერთონ იაფის რკინის გზითა.

***

„ოდესის მოამბე“ იწერება, რომ ოდესიდამ სამასი ოჯახი ნემეცებისა გამომგზავრებულან კავკასიაში დასასახლებლად.

***

რუსეთის ვაჭრობაში, განსაკუთრებით შაქრის მწარმოებელთა შორის, დიდი ბაასია ამ ჟამად მომავალ შაქრის ქარხანებზე კავკასიის აქეთა მხარეში და თურქისტანში. კიევის საბირჟო კამიტეტს შეუტანია სახელმწიფო რჩევაში წინადადება ამ საგანზედ და, სხვათა შორის, ამბობს, რომ 6 წლის განმავალობაში უპირატესობა მიენიჭოსო ამ ქარხნებსაო: პირველ სამ წელს სრულიად განთავისუფლებულ იქმნენო აქციზისაგან, და შემდეგს სამს—მხოლოდ ნახევარ აქციზი გადახდესთოო.

***

ამ დღეებში ენახეთ ჩვენ ბ-ნი მურიეს წიგნი—„*La Mingrelie*“—„სამეგრელო“. წიგნი შეიცავს ბ-ნი მურიეს შრომის პირველ ორს თავს და მოგვითხრობს სამეგრელოს ისტორიას მეგრელთ მამათ-მთავრის ერგოსიდამ

«დროების» ფელეტონი, 13 აპრილს.

უგაფოკრთო კოეტებს

ჩვენ ყველა პოეტები ვართ
ბულ-ბულნი, სიტყვა წყლიანნი;
მჭექა-მქუხავნი ბოროტზედ,
კეთილზედ უხმო-ხმიანნი!

**

ამბროზია და ნექტარი
ბავხადეთ ტარხუნის ფასად;
სატრფო, ვარდი და ბულბული
აურიეთ დომხლის მსგავსად!

**

რითმისთვის სულსა შევსწირავთ,
ვილა დაგიდევს აზრებსა:
იამბიკოში ჩაურთავთ
ყასბებს და დუქან-ბაზრებსა!

**

რითმის მსხვერპლად უნდა გახდეს:
ბრძენი, სვე, ჰკვიანი—შტერი!
სიმშვიდე რომ გულით გვსურდეს,
ვსწერთ: „ირევა მონასტერი“!

**

ვარსკვლავებს ხელითა ვკრეფავთ,
შეხით ვაგორებთ მთვარესა,
მზეს საჯდომად ვიმსახურებთ
დავქრიალართ ყველა მხარესა!

**

ცაში ეფრინავთ, ვით ტორუა,
ქვესკნელს ესძვრებით, ვით „ქანქანი“;
ბულის წუხვა, ოხერა, ხოკა
გამოგვედის რალაც „კანკანი“.

**

ბოროტ-მზაკვრობას, მრუშობას
ლახვარივით აღვუდგებით;
სიფლიდეს და ვერაგობას
ვსდევნით, გვმოძბთ, შორს გავუდგებით!

**

ჩვენ კი თვითონ.... უკაცრავად,
შემომაკლდა ამის რითმა!....
იქნება თქვენ თვითონ მიხვდეთ
რა მწადიდა, ანუ რის თქმა.

**

ჩვენ ყველა პოეტები ვართ
ბულ-ბულნი, სიტყვა წყლიანნი;
მჭექა-მქუხავნი ბოროტზედ,
კეთილზედ უხმო-ხმიანნი.

ა. ცაგერელი.

მგელი მწერლობა

ქილილა და მანა

სპარსულით ნათარგმნი მეფის ვახტანგისა და გალექსილი სახა-სულხან ორბელიანისა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს.

ქართული საისტორიო წიგნები და ბ. ბროსსე და დიმიტრი ბაქრაძე მოგვითხრობენ თავიანთს ისტორიულს გამოკვლევებში, რომ მეექვსე საუკუნის დასაწყისს, როდესაც ხოსრო ნუშირვანმა მეორედ გამოსცა არდაშირის თხზულება ზნეობაზე, იმავე დროს სპარსეთში გაერცელდა ინდოეთიდამ შემოტანილი სანსკრიტულს ენაზე შედგენილი ზღაპართ-კრება—ქოლილჭ და გემნაჭ, ანუ „ქილილა და მანა“, მას შემდეგ გადაღებული ევროპიულს და აზიურს ენებზედაც.

„ქილილა და მანის“ თარგმანი ჯერ პირველად მიეწერება მეთორმეტე საუკუნის დასასრულს დიდებულის თავმარ მეფის დროს, ანუ, როგორც უწოდებენ — ქართველებისთვის „ოქროს დროს“. ამას თვით „ქილილა და მანის“ შესავალიც ჰმოწმობს: „ქამსა მას დიდისა პატიოსნისა და ამაღლებულისა, დედათა მშვენიერებისა და ღვთით გვირგვინოსანისა მეფეთ-მეფისა თამარისა, ესე წიგნი ეთარგმნათ, რომლის ცხოვრებისაც ქართლისა წერილი არს; ამითი საცნაური არს, რაოდენიც საქართველოში, ანუ არაკისა, ანუ იგავისა, ანუ ზეპირსა—მუნასიბისაო, მაგრამ ახლა ამაში სწერია.

როგორც შესავალი გვაუწყებს, მეფე ვახტანგისაგან თამარ მეფის დროს თარგმნილი ყოფილა „ქილილა და მანა“.

მეფე ვახტანგს „ქილილა და მანას“ თარგმნის დროს თან ჰყოლია ერთი მსწავლული სპარსი, მცირედ მცოდნე ქართულის ენისა. სპარსი შველოდა მეფეს თარგმნაში, მაგრამ ენის კარგად უცოდნაროზისა გამო გასძნელებიათ. ამის გასრულებამდის მეფე ვახტანგიც ისპაანს დაუბარებიათ, სამეფო საქმეების გამო. მეფე ვახტანგ წასულა და ის დაწყობილი ხელთ-ნაწერიც თან წაუღია. ისპაანს რომ ჩასულა, იქ ერთი თავის ნასწავლის მსახურისთვის შეუკეთნია, რომ იქ

ვიდრე 1867 წლამდე, ოდეს სამეგრელო რუსეთს შემოუერთდა.—წიგნი სუფთად და შნოიანად გამოცემულია. მოხდენილი სურათები აშვენებენ მას. სურათებთ შორის არის მშვენიერი სურათი Თამარ მეფისა, რუსთველისა, განსვენებულის სამეგრელოს მთავრინასი, სამეგრელოს მთავართა, პრინცის და პრინცესა მიურატისა, ქუთაისის ერთი ნაწილისა, ნაქალაქევის ნანგრევთა და სხვ.

ბ-ნი მურიე დიდს მადლობას სწირავს „წინა სიტყვაობაში“ Ი. მ. მეუნარგიას, რომელსაც ამ წიგნის შედგენაში დიდი დახმარება გაუწევია მისთვის; ბევრ ფურცელს თვისის თხზულებისა მას მიაწერს ბ-ნი მურიე.—მეორე წიგნი ბ-ნი მურიესი, რომელიც ჯერ არ გამოსულა ბეჭედში შეიცავს სამეგრელოს გეოგრაფიას.

* * *

ბ. ბ. Ი. შანშიევისაგან მივიღეთ მის-მიერ შედგენილი ხრონოლოგიური აღწერა ქართულის წიგნების, თუ ბროშიურების, რომელნიც გამოცემულან 1629 წლიდამ ვიდრე 1883-მდე. როგორც ამ წიგნიდამ ვხედავთ ამ ხანში გამოსულა სულ ხუთას ორმოც-და-თექვსმეტი წიგნი ქართულს ენაზედ. ეს შრომა მიუნდვია ბ. შანშიევისათვის ქავკასიის ცენზურის ქამიტეტს, რადგან ამ გვარი წიგნი საჭიროა სახელმძღვანელოდ ქართულის ცენზურისათვის.

„დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. ხაშმი, 5 აპრილს. შვენიერია სოფ. ხაშმი გარემოცულის ათას გვაროვან ხეხილებიან ვენახებით, რომელთ ფოთოლნი პატარა ნიავის წამობერვაზე იწყებენ ნაზად რხევას, შრიალს, თითქო დიდი ხნის უნახავი საყვარელნი პირველ შეხვედრაზე ჩურჩულებენ, ეხვევიან ერთმანეთს და იკლავდენ სიყვარულსაო. შვენიერია მისი ორ-სამ სართულიანი კოპწია სახლები, რომელთ დერეფნები გაჰყურებენ დასავლეთით გიჟმაჟ Იორს, რომელიც, როგორც დედა თავის ძუძუთა შვილს, აკვნის რწევის დროს, ხან დაუწყებს ჩუმად შრიალს და ხან კი შეუტევს, თითქო მოთმინებიდამ გამოსულა ბავშვის ტირილით და უნდა ხმა გააკმენდინოსო.

ჩრდილოეთით ამპარტავნულად დაჰყურებს ხაშმს Იალნოს მთა, რომელიც თითქო უბრძანებდეს:—„ჰა, მიფრთხილდი, თორემ ჩემ ხელშია ხარ: მინდა გაგაგრილებ შხაპუნა წვიმით—მინდა დაგირეგვამ, დაგისეტყვამ მაგ შვენიერ ხეხილებს და ვაზებს, რომლებითაც შენ თავი მოგწონს—ამპარტავნობ!“ შვენიერია ხაშმი მეტადრე მაშინ, როდესაც იგი ჩაფლულია აღყვავებულ ხეხილებში: ამ დროს იგი წააგავს კოხტა პატარძალს საგვირგვინოდ მორთულს... ერთის სიტყვით, რა გინდა სულო და გულო, რო ხაშმში ვერ მოიპოვო. Იგი შემკულია ყოვლის ფრით, რაც კი საჭიროა სოფლისთვის: ტყით, მინდვრით, მდებარეობით, პური და ღვინო მოჰყავს უხვად, ბაზარია გაჩაღებული. ხანდისხან ჩვენი ახალ-გაზდობაც დაგვატკბობს ხოლმე წარმოდგენებით...

ამისთანა ყოვლის ფრით შემკული სოფელი ცოდო არ არის, რო ამისთანა ბატონების ხელშია, როგორიც არიან მუღანლოელი თათრები! Ოცდა-სამი წელიწადი მიდის, რაც ბატონყმობა მოისპო, მაგრამ ხაშმელებმა ვეღარ მოიშორეს ჯერაც ბატონითათრები. და ღმერთმა ყველა კაცი დაიფაროს ამისთანა ბატონებისგან: ხან თავს მოექცევიან ჩვენი ბატონითათრები სოფელს, ხან ბოლოს, რომლის ხარ-კამბეჩი და ცხენიც მოეწონებათ—წაიყვანენ; ვის ვენახშიაც და რაც ესიამოვნებათ, გამოიტანენ, რა დროსაც უნდა მობრძანდეს ბატონითათარი შენს სახლში, კარი ღია უნდა გქონდეს და უარსაც ვერ ეტყვი; თუ რომელიმე მიზეზის გამო არ შეგიძლიან მისი მიღება, მაშინ ნახავ შენს ყოფას: ან გაგცარცვავს ან გადაგწვავს.

შეიძლება იკითხოს ვინმემ: მაგდენს ვნებას ჩადიან თათრები და ერთი როგორ ვერ დაიჭირესო? როგორ არ დაიჭირეს! დაიჭირეს. ქალაქში ჩამოიყვანეს, თავდებობით გამოუშვეს და გამოგზავნეს ისევ მუღანლოში სანადიროდ.

არა ერთხელ შეუჩივლიათ ხაშმელებს მაზრის უფროსისთვის, გუბერნატორისთვის და ამ უკანასკნელ დროს თ. დონდუკოვ-ქორსაკოვსაც სოახსენეს, რო ამ თათრების გამო ცხოვრება აღარ შეგვიძლიანო და თუ შესაძლებელი იქნება, აქედგან გადაასახლეთ სადმე შორსაო. ყველანი გვპირდებიან მათ გადასახლებას აქედგან, მაგრამ ჩვენ კი ვერაფერი გვეშველა—ჩვენი ჩივილი და ტირილი დარჩომილა „ხმად მღაღადებლის უდაბნოს შინა“...

ირ. ბაქრაძე.

ორიოდე სიტყვა უკანასკნელად ბატ. ქ. ბელოვანს.

ბოდიშს ვითხოვ „დროების“ პატივცემულ მკითხველ-საზოგადოებასთან, რომ ერთხელ კიდევ უნდა გადვიტანო მისი ყურადღება ლეჩხუმის მაზრაში და კიდევ გავაგონო მას ორიოდე სიტყვა იმ საგანზედ, რომელზედაც არა ცოტა მითქვამს. მაგრამ პირადად მე არ ვარ ამ გვარი. თავის მობეზრების მიზეზი, არამედ ბატ. ქ. ბელოვანიც, რომელმანც „შრომის“ მე 13 №-ში უზარმაზარი და ყოველ გვარ საფუძველს მოკლებული პასუხით გამოილაშკარა ჩვენკენ, რომლითაც შეეხო როგორც ჩემს ეგრეთვე ლეჩხუმის მაზრის სასამართლოის დანარჩენ წარმომადგენელთ პირადობას და რომელშიაც გვწამებს ცილს.—ამ პასუხზედ კიდევ მინდა ორიოდე სიტყვა მოვახსენო ბატ. ბელოვანს და მით გავათაო მასთან ბაასი, თორემ მასთან პოლემიკის გაგრძელება წყლის ნაყვას დაემზგავსება.

ბატ. ბელოვანი, რომ მკითხველ საზოგადოების წინაშე დაუკარგოს რწმუნება და ვითომ გაუქარწყლოს სინამდვილე ჩემს პასუხს მის კორრესპონდენციაზე, რომელიც, როგორც ეტყობა, მას შიგ გულში მოხვედრია, ატყობინებს მკითხველს, რომ მე ვარ მდივანი ლეჩხუმის მაზრის სასამართლოისა და რასაც ესწერ-ესწერ სიცრუეს და მხოლოდ მაზრის უფროსის ბატ. როძევიჩის გასამართლებელს, მისის მორიდების და ხათრისთვის.

არ ვრაცხ საჭიროდ ამის წინააღმდეგ ბევრი რამ ესთქვა და ან თავი ვიმართლო.—ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ არასოდეს არ ვყოფილვარ იმ მიმართულების და აზრის, რომ ჩემის უფროსის ხათრისთვის მთელ საზოგადოებას, საქვეყნოდ და მერე კიდევ გაზეთების ფურცლებზედ გადავცე ისეთი ფაკტი, რომლის მზგავსი არა მომხდარიყოს რა.—ქიდევ ვიტყვი, რომ ისეთი დაცემული ხასიათის არა ვარ, რომ ჩემს უფროსს დაუმოწმო იმისთანა რამე, რომელიც ჩემი სინიდისის

ნება შენ აქ სპარსულს ენას კარგად შეეჩვიოვო და შემდეგ ერთად შევასრულოთო თარგმანი. მსახურს ძალიან მალე შეუსწავლია კარგად ენა და ამის შემდეგ მეფე ვახტანგსა და იმას დაუთავებიათ თარგმნა, მაგრამ ლექსი და ზოგიერთი საჭირო იგავები დარჩენიათ, რადგანაც მას სხვა უბედურება შემთხვევია: როგორც ტყვეს Ისპაანში შურის მეძიებელნი პირნი წინ აღსდგომიან და იქიდამ ქირმანს ტყვედ წარმოუგზავნიათ; მისს ვაებისა და ნიადაგი შრომის ამბავი ვრცლად არის გამოხატული „ქართლის ცხოვრებაში“ და თვით იმისავე გალექსილს ლექსებშიაც.

მეფე ვახტანგს ძალიან გულს დაჰკლებია იმ დროს, როდესაც ის საქართველოდამ მიუხმიათ Ისპაანსა და თვისის ნაღვლიანობა გამოუხატავს შემდეგს ლექსში:

ქვლავ მიხმეს ისევ Ისპაანს,
დამრჩა ეს შეუსრულები,
მომეცა პატივ-მრავალი,
ვაით დავაბა სულები;
მან თავის ტოლად მადიდა,
არ შემქნა უფლის წულები,
წარმავალია ყველაი,
ქამი მიძს გარდასრულები!

არ დამაცალდა სხვა ლექსთ-თქმა,
მიმიხმეს ისევ კარადა;
ხორცისა რიგს საპატიო
სხვა ბევრ რიგ დასადარადა
რა ექნა არვინ არ გამოჩნდა,
ეროასში მოსახმარადა
მოძლურდა ხორცი სისუსტით,
რაღა ვსთქვა სხვისთვის მწარადა.

ხელთ ნაწერის დასაწყისიც აგრეთვე ლექსით იწყება, რომელიც ეპიგრამად არის მოწერილი მეფე ვახტანგისაგან.—ეი, ეს ლექსი:

მეც მივყე სპარსთა ზღაპართა,
თარგმანებსაცა მგებართა,
არვინა მიშვებს გარეგან,
მთათა და გინა მე ბართა
არ ვგევარ არას საქმითა,
ვარდთა კოკობთა მკრებართა,
რა უყო გამჭრეთ სამუდმოდ,
სახმილსა მძაფრად მგზებართა.

ვერ ვიტყვი ღირსად საფერად
წმიდის სამების ქებასა,
მოსეც შვილს მოება ზედა,
ღვთის სახელისა მკობასა,
ზღაპარი მეთქვა, ისიცა
ვაკმარე ამ ამბობასა,
და მისთვის აღარ მივხედე
უშესავლობის გზობასა.

ამ ლექსის შემდეგ იწყება პირველი კარი „ქილილა და მანისა“.

როგორც „ქილილა და მანიდამ“ სჩანს, ეს წიგნი უშანგის აღსარება ყოფილა, რომელიც „ყარამანიანშია“ გამოყვანილი Ინდოეთის ხელმწიფედ. Ინდოურს ენაზე ეს წიგნი თოთხმეტ კარად ყოფილა, მხოლოდ ქართულზე კი ორი თავით ნაკლებია, რადგანაც მეფე ვახტანგს აღარ დასცალებია და მეორეც მთარგმნელნიც მოწმობენ, რომ ჩვენ ის ორი თავი მიტომ არა ესთარგმნეთო, რომ ამ წიგნს არ შეეფერებაო.

ეი, თვით შინაარსი წიგნისა:

ბამოდის ორი ტურა ქილილა და მანა. ქილილა არის ბოროტი პირი, გლეხების შემწუხებელი, ქვრივ-ოხრების მტაცებელი, უსამართლო, უპირო და ყოვლის ბოროტებით სავსე. მანა—კეთილი მეგობარი ტურა, რომელიც უშლის ქილილას საძაგლობასა და ყოველს მის ქცევასა, მაგრამ პირველი მაინც არ იშლის თავის საძაგლობას სიკვდილამდე. ბოლოს ქილილა ვარდება რაღაც ხიფათში, რომელშიაც მანასაც დაიტანს და ორნივ ჩავარდებიან ტყვედ. ესე რჩებიან კარგა ხანსა. ვარდებიან დიდს გოდებაში, მაგრამ საშველი კი არსაიდამ-რა გამოუჩნდებათ. ბოლოს დაუწყებს მანა ქილილას კიცხვასა, რომ რად შვრებოდი შენ უსამართლობასაო, ხომ იცოდი, რომ უსამართლობას მოკლე გზა აქვსო, მეც ხომ გიშლიდიო, აბა, ეს გინდოდაო, მეც ხომ უსამართლოდ გამაბი ამ ხიფათში და ჩამაგდე ვაებაშიო, ეს გინდოდაო რაღა, აი, უსამართლოების შედეგი ეს არისო. მანა დაჭლერქდება და მოკვდება. ქილილასაც ესვე დღე დაადგება.

წიგნი ესე დაუწერია ბრძენსა ბარმად სახელდებულსა, რომელიც სცხოვრებდაო Ინდოეთის ქ. შიბლიმს. ამ ბარამს რქმევია მეტ სახელად იმავე თემის სახელი—ბიშლიმი, როგორც საზოგადო კანონად აქვსთ სპარსინდოელებს, რომ ყოველს მწერალს მეტი სახელიც უნდა უწოდონ. შემდეგ ეს წიგნი დარჩენილა ისე ფარულად ვიდრე ნუშერვან, Ინდოეთის ხელმწიფის გამოსვლამდე. სპარსეთის მეფეს ზარდახშას ქება სმენია ამ წიგნისა და გაცნობა მისი მოუნდომია. ეი, რას მოგვითხრობენ ძველი წიგნები ამ ხელმწიფის შესახებ:

„რა ამ წიგნის ქება სმენოდა გული და გონება მისისი კითხვის ნდო-

და საზოგადო საქმის წინააღმდეგი იქნება.

თუ რამე ვსთქვი როძევიჩის გასამართლებლად, ვსთქვი არა იმიტომ, რომ ის ჩემი უფროსი არის, არამედ იმიტომ, რომ ბატ. ბელოვანი წამებდა მას ცილს ისეთ საქმეში, რომელიც მისი (როძევიჩის) დაწყობილია და რომლისათვის ის კაცი თავ გადადებულია და ეს შეუსაბამო ცილის წამება მინდოდა გამექარწყლებია.

ბატ. ბელოვანი მწამებს, ვითომც, ჩემს პასუხში, მის მაგიერ რომ მისი კორრესპონდენციის წინააღმდეგ საბუთები მომეყვანა, მხოლოდ მის პირადობას ვეხებოდი:—რომ ჩემს პასუხში საკმაო საბუთები ძქონდა მოყვანილი მის წინააღმდეგ და რომ უმთავრეს თემად მისი პირადობა არ მქონია მხედველობაში, ამას დამიმოწმებს ის, ვისაც კი წაუკითხავს ჩემი პასუხი „დროების“ შარშანდელ მე 262 №-ში.—საბუთებიც მქონდა მოყვანილი და მის პირადობასაც ვეხებოდი იმისთვის, რომ ამას მოითხოვდა თვით საგანი.—მინდოდა დამემტკიცებინა ის, რომ არა თუ როძევიჩი, არამედ ის (ბელოვანი) და მისი მოაზრენი ბრძანდებიან მიზეზნი ხევის-თაობის საქმის ჩაშლისა.

ბატ. ბელოვანი კიდევ დაბრუნებია ხევის-თაობის საქმეს და დასამტკიცებლად იმისა, რომ როძევიჩის და საზოგადოდ პოლიციის ჩაშლილია ეს საქმე, ბრძანებს: „მე და ჩემი მზგავსნი კი არა, პირადად თქვენი ბანკის წარმომადგენელნი ბრძანდებიან ამ საქმის ჩამშლელნი და დამღუპველნიო..... უმთავრესი მიზეზი, რომელმანც გლეხ-კაცობა დააფთრხო და ააყრევინა გული ამ საგანზედ ის გარემოება იყო, რომ ორი სამი წლის გარდასახადი ერთად მოსთხოვეთ ფულად და რომ ვერ შესძლეს, ჩაუსიეთ მამასახლისები სახლში და უკანასკნელი კარდალაც აღარ შეარჩინეთ მათ.“

საკვირველ არიან საქმენი შენნი უფალო! ერთი ეს მიბრძანეთ ბატ. ბელოვანო, როდის იყო გლეხ-კაცობა წინააღმდეგი იმ წინადადებაებისა და რჩევების, რომელნიც მისცა მას ბატ. როძევიჩმა?—ბანა გლეხთ სულით და გულით არ სურდათ და ეხლაც არ სურთ, რომ ხევის-თაობა არ მოიშალოს და ბანკიც დაარსდეს.—თქვენ და თქვენი თანამოაზრეთა წყალობით ჩაიფუშა საქმე.—ფულები არ შემოიტანეთ და ეს არის მიზეზი ამ კეთილი საქმის ჩაშლის. მიბრძანეთ ბატ. ბელოვანო, როდის ან ვის წაართვეს მამასახლისებმა ბოლიციის მინდობილებით რამე!—რომ პოლიცია ამ ფულების მობოჭვაში არ გარეულა ამას დაამოწმებს მთელი მაზრის მცხოვრებნი.—თქვენვე არ ბძანებთ—ბატ. როძევიჩმა ამ საქმეშიდ ნეიტრალიტეტი გამოაცხადაო?—მაშ როგორი ნეიტრალიტეტია თუ მამასახლისებს მისცა ბრძანება ამ ფულების მობოჭვაში?!—და თუ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, ჩემის აზრით, ძალიან კარგი უქნია, რადგანაც, მინამ თქვენისთანა პუბლიცისტები იქნება, ლეჩხუმში ყოველი საზოგადო საქმისფეხზედ დაეყენება ყოვლად შეუძლებელია და ყოველი ღვაწლი ამ საქმის შესახებ უსარგებლოდ ჩაიარს.

რა პროექტს უნდა გაეარა, მ. ბელოვანო, ჭახრაკში, როდესაც საზოგადოების მხრით ამ საგანზედ არავითარი პროექტი არ ყოფილა შემდგარი?—მართალია, პოლიციაში იქმნენ შესწორებულნი გაწერილობითი სიები, მაგრამ ესეც საზოგადოების თანხმობით და გამწერლების თანადასწრებით, ეს სიები იქმნა შესწორებული იმიტომ, რომ საჭირო იყო იმ ნაირად მომხდარიყო გაწერილობა, რომ თუთხმეტი ათას მანეთს, რომელიც ბანკის დასაარსებლად მიუცილებელი საჭირო იყო, არ დაჰკლებოდა.—ამაზედ არავის არ წარმოუთქვამს წინააღმდეგი, გარდა თქვენი თანამოაზრენისა, ისეც არა თუ სიების შესწორების დროს, არამედ იმ დროს, როდესაც საქმე ფულების მობოჭვაზედ მივარდა.—არ დაივიწყოთ, რომ ამ სიების შესწორების დროს პოლიციაშიდ იყვნენ მოწვეულნი გარდა გამწერლებისა, რამოდენიმე პატივსაცემნი თავად აზნაურნი.

ის თქვენი აზრი ბატ. ბელოვანო, რომ, ვითომც, ჩვენ ის გვწყენდეს თქვენ, რომ კორრესპონდენციებს სწერთ ლეჩხუმიდამ, ძალიან შემცდარია. — კორრესპონდენციების წერა არავის არ ეწყინება უკეთუ ისინი არ ამახინჯებენ მომხდარ ფაქტს და გადასცემენ მას მკითხველს გაუზვიადებლად და დაუკლებელის სინამდვილით.

უკანასკნელად ბატ. ბელოვანი მაბრალებს, რომ, ვითომც მე მკითხველ საზოგადოებას ვატყვილებდე როცა ვამბობდი, სასწავლებლის გადატანა ლაილაშიდამ ცაგერს სასიამოვნო და სასარგებლო არის საზოგადოების უმრავლესობისათვისთქო.

იცოდეთ ბატ. ბელოვანო ეს უბრალო ჭეშმარიტება, რომ სკოლა სასარგებლოა და საჭიროა გაიხსნას იმისთანა ადგილას, სადაც მას არასფერი არ უშლის ხელს ბავშების აღზრდისათვის. ამისათვის არა თუ ცაგერს, არამედ სხვა სოფელშიაც რომ იქნეს სკოლა გადატანილი ძალიან სასარგებლო იქნება, ოღონდ ლაილაშს კი მოშორდეს. ლაილაში ბუდეა ცუდ-კაცობისა და ამისათვის უნდა ვეცადოთ მოვაშოროთ ამისთანა ადგილს სასწავლებელი, რომელმანც უნდა მოგვცეს ჩვენ შემდეგში პატიოსანი ქვეყნის მშრომელნი.

უკანასკნელად ბატ. ბელოვანო, რომ დაგიჟინიათ, რომ როდზევიჩის სხვა-და-სხვა ნაირმა უფერულმა წინადადებაებმა შეაშინა გლეხ-კაცობაო და ეს არის მიზეზი ხევის თაობის საქმის შეფერხებისაო და თქვენ თავზედ კი არას ამბობთ, მიბრძანეთ ამ კითხვებზედ პასუხი და ეს გაგვასწორებს მე და თქვენ მკითხველ საზოგადოების წინა:—თქვენ თვითონ ბანკის დაარსებაზედ წინააღმდეგი იყავით თუ არა?—შეიტანეთ თუ არა ხევის თავების, ან ბანკის სასარგელოდ თქვენი ხვედრი ფული? და თუ არ შეგიტანიათ—რა იყო ამის მიზეზი?

ალ. გამრეკელი.

ქ. ქუთაისი.
8 აპრილი.

კერძო საავადმყოფო

კუკიაში, სემიონოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 ს ათიდამ 10½-მდინ ნავასარტიანც—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; 10½ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი—ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შა-

---

მით შესწუხოდა, მაშინ გამოჩნდა სპარსთა ბრძენი ზავია—მკურნალი ნუშერვანისა და მისის საწადლისათვის ინდოეთს წასულა და მრავალი ხანი მუნ დაუყვია. მრავლის ხერხით და ხრიკებით ცდილა და ერთს დროს ეს წიგნი ინდოურის ენიდამა ფალურს ენაზე უთარგმნია. მაშინ იმ ენაზე ლაპარაკობდენ თურმე ირანის მეფენი. და ეს შრომა თვისი მან ნუშერვან ხელმწიფის წინ მოიღო. ნუშერვან ხელმწიფეს გულის წადილი რა აღუსრულდა უხვის პატივით დაასაჩუქრაო მკურნალი იგი. შემდეგ ეს წიგნი ფალიურის ენიდამ თაჯიურს ენაზე უთარგმნიათ, თაჯიურიდამ სპარუსლს და სპარსულიდამ ოსმალურზე.

როგორც ზოგიერთი ხელ-ნაწერი წიგნები მოწმობენ, მეფე პახტანგს „ძილილა და მანა“ გაუთავებია გალექსვა აღარ დასცალებია და მას ის გამოუგზავნია საბა ორბელიანისთვის, რომლისთვისაც მიუნდვია გალექსვა და როგორც მინდობილს პირს საბა ორბელიანსაც დიდის გულს მოდგინეობით გაულექსია.

სხვათა შორის, მეფე პახტანგ თავის შესავალს ისეთ ნაირად იწყობს, რომ შესავალშივე არს შაირები და ლექსები ზოგი გაბასებით და ზოგიც ისე მიბაძვითა. ერთს ადგილას არის შემდეგი შენიშვნა საბა სულხან-ორბელიანზე: ეს წიგნი ძირმანს და ისპაჰანს სთარგმნა მეფე პახტანგმაო შეჭირვების მყოფობაში და უსაქმოს მზრუნავს გონების ურვის წამლად მოემუშაკა.

მეფე პახტანგს რომ გადაეთარგმნა ძილილა და მანა, შემდეგ ძართლში საბა სულხან-ორბელიანისთვის გამოეგზავნა და მოეწერა მაღალს მდაბალი ბოდიშები...

აწ მომაგონე შენ ჩემი,
პირველი სიყვარულია,
ეს საქმე კარგათ მისაქმე
თვალთ ნუ მოგივა რულია.

მეფე სთხოვდა საბას: ეს ჩემი ჭირი გაჩარხე გემოვნად და სადაც ლექსი ჩართული იყოს, აგრეთვე ქართულად ლექსები ჩაურთევო. საბა ორბელიანი იყო ბიორგი მეფის დედის ძმისწული და მისგანვე შვილურად გაზდილი და პახტანგ მეფის ბიძად და გაზდილად წოდებული და დიდად საყვარელიო. სოფლის სიმუხთლემ ერთმანეთი მოაშორა პახტანგ და საბა. ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი განხეთქილება ჩამოაგდეს, მეფე მასზე და მისს ძმებზედ მწყრომელი შეიქმნა და შემდეგ ერთი ის ბძანებაღა მოუვიდაო საბას და უარის თქმაც აღარ შეეძლო, თორემ მონოზონისაგან (საბასაგან) ამისთანა ამბავი უწესო არის და ურიგოვო. აქედამ იწყება იგავ სიტყვაობით გაბაასება ბერის საბა ორბელიანთანა. აი, ერთი ტაეპი იმ გაბაასებისა:

მონოზონი საღმთო-წერილს
მართებს სწერდეს გინა ბერი,
ამისთანა სამსახურსა,
მეფისასა—ჰყოფდეს ერი.

ამ გაბაასების გარდმოცემით ჩვენ ვრწმუნდებით, რომ საბა ორბელიანს „ძილილა და მანა“ ევროპაში გასვლამდევე გაულექსია ჟამსა ბერობისასა.

შესანიშნავია სიშვენიერე და ხელოვნება ენისა „ძილილა და მანა“-ში. ამ მდიდარს თხზულებაში ვნახავთ მრავალ ქართული ლექსების ზომას, ძაფებსა და კონონებსა, თუ რომელ ლექს თავის რა შესაფერი საკუთრებითი სახელი აქვს, ნამეტნავად იმ ადგილებში, სადაც პირუტყვები და ფრინველნი გამოდიან და უამბობენ ერთმანეთს ზღაპრებსა; და ყოველი თავის ზღაპარს ათავებს შაირით, ან ფისტიკაურით, ან ჩანხაულათ, ან ლექსით, ან ტაეპით და ან კიდევ ყორიბულად.

ძვირფასი განძია „ძილილა და მანა“. ჩვენნი ძველი და ახალი მსწავლულნი ქებით მოიხსენებენ ამ წიგნსა და ამიტომაც სასურველია, რომ იგი მალე დაიბეჭდოს. ამ წიგნის დაბეჭვდის ნატვრა კარგა ხანია ისმის ჩვენში. ამ უკანასკნელს დროს-კი, რაკი პატივცემულს თავადს ბურიელს ასი თუმანიც შეუწირავს, იმედია, რომ ამ ღონის-ძიებით მაინც შეუდგებიან „ძილილა და მანის“ დაბეჭვდასა და მით არ დ უკარგავენ ქვეყანას ამ ძვირფას წიგნს ჩვენის ძველის მწერლობისა. ამ წიგნის ხელთ-ნაწერები როგორც ძალაქში, ისე სხვაგანაც ბევრია და თუ ისურვებენ, რომ გასწორების დროს რამდენიმე ხელთ-ნაწერი იქონიონ, გაზეთში გამოაცხადონ და, უეჭველია, ბევრს მოიპოვებენ...

ზ. მთაწმინდელი.

ბათობით. ნერვების, ჰსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ. - შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი
ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიატუსის ხელმძღვანელობით.

განცხადებანი

შავერდოვის გაზეთის საგენტოში მიღებულია პირველი ნომერი ქუთაისში ახლად-გამოცემულის ჟურნალის „ქართულის ბიბლიოთეკისა“. № იყიდება 75 კაპ.

ნომერი შედგენილია მშვენიერად და ღირს-საყურადღებოდ მკითხველთათვის. (10—1)

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცნობებს ბ.ბ. ბანკის წევრთა, რომ, ბანკის წესდების მე 79 §-ის ძალით, 27 ამ აპრილს, დილით 11 საათზე, ამ ბანკის სადგომზე მოხდება ხსენებულთ წევრთა მოულოდნელი საზოგადო კრება დასანიშნავად მიუცილებელის საზოგადო საჭიროებისათვის ფულისა ბანკის იმ თანხიდან, რომელიც მაგეთის საჭიროებისათვის დანიშნულია.

ახალი წიგნი:
მომაკვდავნი სურათნი

კომედ. IV მოქმ. თ-დის ბ. შარვაშიძისა. ისყიდება ტფილისს—ჩარკვიანის წიგ. მაღაზიაში და ქუთაისს ჭილაძისაში.

ფასი თითო წიგნისა 5 შაური. (3—2)

რადგან მივდივართ,

ისყიდება 5 ნაწილი ადგილისა წყლის ნაპირას ახალი ხიდის მახლობ; პირობის შეტყობა შეიძლება ინგლისის მაღაზიაში.

ამავე მიზეზით ისყიდება ნახევარ ფასად: ტანთ-საცმელი, ტრიკო, შალის ჩულქები და სხ. და სხვ.

იქვე აუარებელი რკინის კალმები, რკინის ტახტები, ჩაი 1 მოსავლისა, კაცისა და ქალის უნაგირები, საპონი და სხვ და სხვა—25% ნაკლებ სანამ სხვაგან. გლიცერინის საპონი 40 კ. გირვანქა!

ინდოეთის ბრინჯი 5 კ.

გალავინის პროსპეკტედ, ანტონოვის სახლებში „ლივადიის“ სასტუმროში, ვაძლევ მებილით, სამოვრით და მოსამსახურით ოთახებს, თვეობით 15 მანეთიდამ 60-დის, დღეობით—ოთხი აბაზიდამ—სამ მანეთამდის.

მიხაილ ხარებავა.

10—9)

ახალი ქართული
ქარაგადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

ინგლისის
მაღაზია
Maison de confiance

მეკადარეთ ჩვენი ჩაი	—1 მ. 10 კ.	მოსკოვის ჩაის	—1 მ. 40 ჩ
— —	—1—20	—	—1—60
— —	—1—40	—	—1—80
— —	—1—60	—	—2— „
— —	—1—80	—	—2—50
საუკეთესო	—2— „	—	—3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—61)

წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:

იგავ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ბ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

ხატაური, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნებ-ს მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ. (10—10)

ახალი
წიგნის მაღაზია

არწრუნის გალერეია № 149, 150 ბ. ჯაბადარის ბიბლიოთეკასთან

ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანო და ლიტერატურული.

სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველ-გვარი წიგნები.

აქვე ისყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—25)

საგლოგუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საბენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, პარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები, რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის, ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—2)

ინგლისის მაღაზიაში
თმის ამომყვანი მაკმასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—63)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ისყიდება

რადგან ვსპობთ ვაჭრობას, ერთობ იაფ ფასად, ესე იგი უფრო იაფად, ვინემ ნასყიდია: ოქრო-ვერცხლის და ბრილიანტის ნივთები, საათები თუ სხვა-და-სხვა...

სასახლის ქუჩა—ზუბალოვის სახლი.

(6—5) ბ. ნ. ლაქსინი.

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად
„ციკო“
მოთხრობა
ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რადაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—20)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—51)

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები
№ 1
ჩახრუხაძე
შემოკლებულის ბიოგრაფიით.
გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.
ფასი 20 კაპ.

ტაქცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 აპრილიდამ 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	3½
მესამის „	—1 გირ.	—

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	5½
მეორის „ „	—1 გირ.	4½
მესამის „ „	—1 გირ.	4 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	11 კ.
მეორის „	—1 გირ.	9 კ.
სუკი — —	—1 გირ.	17 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	11 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Апрѣля 1883 г. Типографія Меликова ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.